



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №30

2016 წლის 1 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფელ ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 8096 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართიდან (ს/კ 71.55.07.997), 4 კვ.მ (2X2) მიწის ფართის ფ/პ ბიჭიკო ჯღუნიაშვილისათვის სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფელ ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 8096 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართიდან (ს/კ 71.55.07.997), 4 კვ.მ (2X2) მიწის ფართი სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს ფ/პ ბიჭიკო ჯღუნიაშვილს, წელიწადში 1200 (ათას ორასი) ლარად.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გივი ზურაბაშვილი